

პოლიტიკა

ბანადი ზიზანოვი: "რუსეთი ევროკავშირს არაფერს აღარ შეუძლია"

სოხუმის მიმართულებით პირველი ელექტრომაგნიტური გაზომვებზე თბილისის რეაქციამ რუსეთის პირველი კომუნისტის რისხვა გამოიწვია. "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება რუსეთიდან აფხაზეთში რკინიგზის გახსნას.

A3

უსხოეთი

რუსეთთან მემორანდუმის ფასი

სომხურ მედიამ გაიხიზნა ცნობა, რომ არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ რუსეთი პრეზიდენტ კოჩარისთვის განუხიზნავს პრემიერ-მინისტრის შეცვლის მოთხოვნას.

A4

აქრონობია

იწყება სახელმწიფო ბრძოლის მეორე რაუნდი

პარლამენტის ბიუროს დღევანდელი სხდომა (მიმდინარე წელს ის პირველად ტარდება) თითქმის მთლიანად საბიუჯეტო თემატიკით შემოიფარგლება - "გაგანი" ზამთრის არდადეგების დროს დეპუტატებს მხოლოდ იმდენი დღე დაარბენინებენ პარლამენტში, რომ 2002 წლის დამლევს, ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური კანონის პირველი მოსმენით მიღებას, სულ რამდენიმე ხმა დააკლდა. ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნიდან განვლილ მცირე დროში ბევრი არაფერი შეცვლილა, მათ შორის, არც საკანონმდებლო ორგანოში მართლმადიდებელი პოლიტიკური ჯგუფების პოზიციები.

A6

სამართალი

აკვლადობისთვის უსამართლოდ მსჯავრდებულების ხუთწლიანი პატიმრობის შემცირების განხილვა

სასამართლო დარბაზიდან უდანაშაულო პატიმრების გათავისუფლების ფაქტები ჩვენს სინამდვილეში უკვე მომრავლდა. მაგრამ პროკურატურის და სასამართლოს შორიდან წლების წინ დაწყებული შეცდომის აღიარება და უმძიმესი დანაშაულისთვის მსჯავრდებულების გათავისუფლება ქართულ სამართალწარმოებაში იშვიათი შემთხვევაა. თუმცა, ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობს და, იმედია, მომავალშიც გამოჩნდება.

A7

საზოგადოება

ყარაღბაღით, სკაპაბი ტაიისაფლდება!

მაღე ადგილობრივი მმართველობის სოციალური დახმარების ორგანოებში სკაპაბის გათავისუფლება დაიწყება.

A8

ანიონი

Table with weather forecasts for Tbilisi, Kutaisi, Batumi, Sokhumi, Gori, and Telavi.

უსხოური ვალუტის ოფიციალური კურსი

Table with exchange rates for USD, EUR, GEL, and RUB.

350 დღე „აბსოლუტურ ბედნიერებაში“

საბჭოთა პასპორტებში აფხაზეთისთვის რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი ბეჭდის ჩარტყმა, რუსეთის ახალი პასპორტის მიღების გარანტიის არ იძლევა

ზაზა ნულაძე

უკანასკნელი მონაცემებით, ქალაქ სოჭში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ საკონსულტაციო განყოფილებაში, პოლონური თვის მანძილზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ დაახლოებით 180 ათას ადამიანს, საბჭოთა კავშირის დროინდელ პასპორტებში, რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი ბეჭედი ჩაურტყეს. "მოქალაქეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ კანონში გასულ წელს შეტანილი ცნობილი ცვლილების შემდეგ, აფხაზეთის თითქმის ისრა დაჩრდილოეთ, რომ 2003 წლის 31 დეკემბრამდე, ძველი საბჭოთა პასპორტები რუსეთის ახალ პასპორტებში გადაცვალონ და თავისუფლებისთვის მებრძოლი პატარა ერის მარადიული ოცნებაც ასრულდება - ყველა აფხაზი რუსეთის მოქალაქე გახდება, თუმცა, როგორც ძველი რუსული ანდაზა ამბობს - "Федот, да не тот".

ბაზრძალვა A3 გვარძვა



ავთანდილ ლასურამ აფხაზეთის მოქალაქეობას (გადაშლილია) რუსეთის მოქალაქეობა ამჭობინა. რუსეთის საკონსულტაციო განყოფილებაში მისი პასპორტი მარცხენა ფურცელზეა მოთავსებული

საქართველო სვოლასა და ქარიზდას შორის

მთა უტიაპილი

თუ ბოლოდროინდელ მოვლენებზე დაყრდნობით, რაიმეს პროგნოზირება შეიძლება, - წერს ჟურნალი "ნიუსუიკი", - მაშინ ცხელი წერტილი, რომელიც 2003 წლის განმავლობაში ახალი ამბებში მუდმივად უნდა ფიგურირებდეს, კავკასია იქნება. "გაჭიანურებული ომები და არასაიმედო ზავები; ტერორიზმთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან შეზავებული ძველისძველი ეთნიკური ვენდეტები; ნავთობზე აგებული გეოპოლიტიკური ინტრიგები, შეჯერებული აგრესიული ისლამის ფეთქებადი დინამიკა. ეს არც ახლო აღმოსავლეთია და არც ბალკანეთი. ეს კავკასიაა." პოსტსაბჭოური ქვეყნების ცნობილი მკვლევარი ფონა პილა წერს: "მომავალ ათწლეულში ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების უკიდურესი შინაგანი სისუსტე მათ

ბაზრძალვა A4 გვარძვა

2003 წლის ბიუჯეტი - ბარკატი ძალაუფლების შესანარჩუნებლად

ბიორბი ასანიშვილი

ელუარდ შევარდნაძე, როგორც ჩანს, საკმაოდ შეფიქრებული ელოდება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს: იგი არ გამორიცხავს, რომ თუ დღევანდელი ხელისუფლება მას მოუშვადებელი შეხედება, "საქმე კუდად წავა და მომავალ პარლამენტში პოპულარულად დამკვიდრებულ ორიენტაციულ ძალებს მოვლენ". ასე რომ არ მოხდეს, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტმა მიმდინარე წელი გამოეხიზნა. ვი, იმის ბრალი, ვინც აქ იანერის ბოლოს ცუდი შედეგებით მოვა, - საბრძოლო ამოცანის დასახვისას, აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებისადმი პრეზიდენტის მოწოდებაში ერთგვარი შექარის ტონი შეიმჩნევა.

ბაზრძალვა A2 გვარძვა

„საშემოდგომო განვების ბეგბის რავარდნა საბოტაჟისა და კორუფციის შედეგია“

თამარ მკვლევარი

საქართველოში წვევამდელების სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესი კვლავ სრული კრახით სრულდება. სამხედრო კომისარიატებმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გეგმის ოცი პროცენტზე კი ვერ შეასრულეს. მართალია, პრეზიდენტის ბრძანებულებით, საშემოდგომო გაწვევის პროცესი ორი თვით არის გაგრძელებული და იგი თებერვალში უნდა დასრულდეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ორ თვეში რაიმე შეიცვალოს.

"კანონმდებლობის არასრულფასოვნება, ანგარება და კორუფციული დაინტერესება", - ასე ხსნის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი შექმნილ მდგომარეობას. მართალია, იგი აღიარებს, რომ განვების ჩავარდნას ობიექტური მიზეზებიც აქვს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ "პრობლემის თავი და თავი მაინც შესაბამისი უწყებების უპასუხისმგებლობაში, კორუფციისა და პირად დაინტერესებაშია საძიებელი".

ბაზრძალვა A2 გვარძვა



პარლამენტის საკომიტეტო განხილვა.

მერაზ ადვიშვილი: "რუსული მხარის სინიზმმა გაგვარძვა"

რუს კოლეგებთან მოსკოვში გამართულ კონსულტაციებს საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა მერაზ ადვიშვილმა ცინიკური და უშედეგო უწოდა. ამის თქმის უფლებას ქართველ მინისტრს აძლევს რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტროში მიმდინარე ხანგრძლივი და მომქანცველი კონსულტაციების პროცესში რუსი კოლეგების ტონი და სულისკვეთება.

- ნებისმიერ საკითხს მეორე ოთახში ათანხმებდნენ; ვისთანაც ათანხმებდნენ, ცხადია. მართალია, გზათა სამინისტროში ვიცავით, მაგრამ დღეს ჩვენ, მინიმუმ, ოთხ უწყებასთან მოვუხიბდა სეროზული ომი: აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში დაინტერესებულია რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტრო, სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, ფედერალური სასაზღვრო სამსახური და, რაც ყველაზე მთავარია, მათი კოორდინატორი - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოსკოვში რუს კოლეგებთან გამართულმა კონსულტაციებმა დავგანწმუნა, რომ ისინი ბევრს არაფერს წყვეტენ ამ საქმეში. მათ, უბრალოდ, ასეთი დავალება მიიღეს და პირნათლად შეასრულეს კიდევ. დიალოგის დროს იყო მომენტები, როცა თავადაც ხვდებოდნენ სიტუაციის მთელ კომპლექსს და, ამიტომ, ზოგჯერ, უხერხულად გრძობდნენ თავს.

- თუ ვაფორმდა ამ მოლაპარაკებების ოფიციალური ოქმი და რაზე მასში საუბარი?

- მთელი დღე ამ ოქმის შეთანხმებას მოვანდობო, საქმე კინაღამ ჩვენს დეპარტამენტში მივიდა. რუსული მხარის ცინიზმმა გაგვაოგნა, მაგრამ

ბაზრძალვა A3 გვარძვა

მთავრობა პარლამენტს ხელახს უბრახს

მაია ურუშაძე

საქართველოს პარლამენტის რეგარემუ სესია, რომელზეც 2003 წლის ბიუჯეტის პროექტი უნდა განიხილონ, 17 იანვრისთვის დაინიშნა. მანამდე კი პარლამენტში ციებ-ცხელებაა. ფრაქციები განავრძობენ ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტის განხილვას, რომელიც მთავრობამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ორშაბათს წარადგინა. ფრაქციებთან წინასწარი კონსულტაციების გავლის შემდეგ, ფონანსთა სამინისტრო ე.წ. "თემატური უმრავლესობისგან" მნიშვნელოვან მხარდაჭერას ელის. ოპოზიციური ფრაქციები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტი შესწორების შემდეგაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად ამისა, ისინი ფიქრობენ, რომ მთავრობა ბიუჯეტის დამტკიცებას მაინც შეძლებს.

"მთავრობა კვლავ აგრძელებს ხელის გადაგრევის პოლიტიკას პარლამენტის მიმართ. სამხუნაროდ, ამ პარლამენტში მოიძებნება იმდენი დეპუტატი, რამდენიც მთავრობას აბსოლუტურად გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად ესაჭიროება," - აცხადებს ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერი გიორგი ბარამიძე. "დემოკრატები" ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერენ. მაგრამ, ბარამიძის ვარაუდით, კანცელარია, დეპუტატებზე ზეწოლით, ბიუჯეტის დასამტკიცებლად საჭირო ხმების შეგროვებას მაინც შეძლებს. "დემოკრატების" ინიციატივას, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან - 115 ლართან გათანაბრების შესახებ, მთავრობა

ბაზრძალვა A6 გვარძვა

კაკა კვესიტაძის სპიტი

პატრიარქს შვიმოდგომის უბინია

“თუ ეს წელი გარდამტეხი არ იქნება, მაშინ არჩევნებში ძალიან გავაჭირდება და პარლამენტში დემაგოგები და პოპულისტები მოვლენ”, - განაცხადა გუშინ შევარდნაძემ და კიდევ ერთხელ სრულად ღიად მინიშნა იმაზე, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს.

საყოველთაო მობილიზაცია პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე გამოაცხადა და 2003 წლის ბიუჯეტის პირნათლად შესრულება მოითხოვა.

შევარდნაძე კარგად ხვდება, რომ ხელისუფლებას, რომელიც წლების განმავლობაში მოსახლეობისთვის მინიმალური ხელფასებისა და პენსიების მიცემას ვერ ახერხებდა, საპარლამენტო არჩევნებში სასურველი პროცენტით გამარჯვება ძალიან გაუჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მას არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად არაერთი ბერკეტი გააჩნია.

პრეზიდენტს, ალბათ, მართლაც გულწრფელად სურს, რომ ეს გარდატეხა ნამდვილად მოხდეს - ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდეს, ყველა დატარებული დავალიანება დაიფაროს, კმაყოფილები იყვნენ მასწავლებლები და პენსიონერები, ქუჩაში აღარ მათხოვრობდნენ მოხუცები და ბავშვები, ყველა რაიონსა და სოფლს (რა თქმა უნდა, თბილისსაც) ჰქონდეს გაზი და ელექტროენერჯია, და საერთოდ, შევარდნაძის ფანბების კლუბიც არსებობდეს.

მაგრამ თვით პრეზიდენტის სურვილის მიუხედავად, გარდატეხი ეს ხელი, რა თქმა უნდა, არ იქნება.

არ იქნება იმიტომ, რომ შევარდნაძემ, ბოლო წლების განმავლობაში, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა რეფორმები ყველა მიმჭერლოვან სფეროში დაბლოკილიყო: სამართალდამცავ სტრუქტურებში, საბაჟოში, საგადასახადო კანონმდებლობაში.

რისი შედეგიც არის ის, რომ კონტრაბანდიდან მიღებული წილები ძირითადი შემოსავალია სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის; ყველა მაღალჩინოსანი იპარავს, როგორც უნდა და რამდენიც უნდა; საგადასახადო დეპარტამენტი პირველი რამდენიმე თვის გემგამა წინასწარ აკრედიტოვებს თვით ასრულებს, წლის ბოლოს კი გარდაღვევის დაფარვას კრედიტით ატყუებენ თანხით ცდილობს; არ სრულდება არც ამერიკის მთავრობის მიერ სპეციალურად დაქირავებული ბალცევიკონისა და არც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციები, რის გამოც დონორი ორგანიზაციების დახმარების პროგრამები ან წყდება, ან გააუკვეციელი ვადებით იყინება, ამის შედეგები კი შემდეგ ბიუჯეტის შესრულებაზე აისახება.

თუ შევარდნაძეს უნდა, რომ მის მიერ შექმნილმა მახინჯმა სისტემამ უკეთესი შედეგები მისცეს, ვიდრე აქამდე

მოკლედ

თბილისი. კოდორის ხეობის ერთობლივი პატრონობის მორიგი ეტაპი 15-17 იანვარს ჩატარდება. **კავკას-პრესი.**

მოსკოვი. ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით შემუშავებულია და მოქმედება დაიწყო რუსეთის სახელმწიფო საზღვრის კომპლექსური მონიტორინგის გეგმა. რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთში შედის საზღვარი საქართველოსა და აზერბაიჯანთან. **კავკას-პრესი.**

თბილისი. “პრეზიდენტის მმსშვილი ნუგზარ შევარდნაძე ათასი გზებითა და მიუღებელი ფორმით ცდილობს “ჭიათურამგანაფის” ხელში ჩაგდებას”, - აცხადებს იმერეთის გუბერნატორი თემურ შამიშვილი. **კავკას-პრესი.**

თბილისი. აფხაზეთში დაწყებული მოხახლოების აღწერა 20 იანვარს დასრულდება და წინასწარი შედეგები ორ-ნახ კვირაში გადგება ცნობილი. **ინტერ-პრესი.**

თბილისი. აფხაზეთიდან დევნილია სამოტოცისტო აქციის სპეციალურ პეტრიციას პარლამენტარი ელენე თევდორაძე 26 იანვარს სტრასბურგში ჩაიგდეს, სადაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაა დაგეგმილი. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით იგი სესიაზე სპეციალური მოხსენებით გამოხსენასაც აპირებს. **ინტერ-პრესი.**

თბილისი. ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, აშშ-ში საქართველოს ელჩი ლევან მიქელაძე და გაეროში ქვეყნის უმდიდრეს წარმომადგენელი რევაზ ადამია 31 იანვარს დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაშიან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად თბილისს მომავალ კვირას ეწვევიან. **პრაიმ-ნიუსი.**

თბილისი. აჭარის ავტონომიის მეთაური, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის პრობლემის დაგველურების საკითხში ახლან აბაშიძე მონაწილეობას არ დატოვებს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაშიან დაკავშირებულ კონსულტაციებში. აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს, დეპუტატმა ჰამლეტ ჭიაპაშვილს განცხადებით, ე.წ. კონსულტაციები საბოლოოდ არაფრის მომტანი იქნება. **პრაიმ-ნიუსი.**

თბილისი. თბილისის საკრებულოს გუდაურში დაგეგმილი გასვლითი სხდომა, რომელზეც პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად მიმდინარე წლის თბილისის ბიუჯეტის ფორმირებაზე უნდა ემსჯელებათ, ფრაქცია „ლიბერლისტის“ მიზებით არმალა. **მედია-ნიუსი.**

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი აეთანდლა ჯორჯენაძემ, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენიამინ ნეთანიახუს მიწვევით, 20 იანვარს ისრაელს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი.**

თბილისი. “მოქალაქეთა კავშირისა” და “ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის” თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები ბოლო ეტაპზეა. საბოლოო გადაწყვეტილებას პარტნიორობის და შესაძლო ალიანსის შექმნაზე პარტიები მომავალში დაგეგმილ შეხვედრაზე მიიღებენ. **პრაიმ-ნიუსი.**

თბილისი. ეროვნული გვარდიის სამხრეთის სამთო მსრულებლთა ბატალიონის გადასროლა, რომელსაც აშშ-ის ინსტრუქტორები “ნგრინისა და ალჭურის” პროგრამით მოამზადებდნენ, თბილისის მახლობლად, კრანისში “11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ხსოვნის” პოლიგონზე დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი.**

თბილისი. 27 იანვარს ლონდონში ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, ლონდონის კონფლიქტოლოგიისა და სამშვიდობო პროცესის რესურსთა გამოყენების ცენტრის ეგიდით თბილისსა და სოხუმს შორის მოლაპარაკებები გაიმართება. სუპარატისტთა მხრიდან მოლაპარაკებებს ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, ქართული მხრიდან კი, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მაღლას ჯიჟიაძე უხელმძღვანელებენ. **მედია-ნიუსი.**

თბილისი. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დღეს დახურულ კარს მიღმა ეროვნულ ძალთა გაერთიანების და “ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლებს მიიღო. “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ კობა დავითაშვილის განცხადებით, თუ 2003 წლის ბიუჯეტში პენსიონერთა დავალიანებების დასაფარად საქართველოს სრულად არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ საპარლამენტო ფრაქცია „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის“ როგვარცა უმჯობესად უხელმძღვანელებენ. **მედია-ნიუსი.**

თბილისი. საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დაავლებათა ელჩი დავით პეკელი გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს შეხვდა და ისრაელელი ვიზიტის ოფიციალური მიწვევა გადასცა. **მედია-ნიუსი.**

თბილისი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩქიაშვილი აცხადებს, რომ შესაძლოა სამკრებულოს რეგიონში ანტიკრიმინალური ოპერაცია განხორციელდეს. **მედია-ნიუსი.**

- ბერკეტი

პირავალი ბავარდიდან

თუ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში მოვლენები სწორედ ასეთი სცენარით განვითარდება, შევარდნაძის ვარაუდით, მოსახლეობა “დემაგოგებსა და პოპულისტებს” უკვე აღარ აპყვება და არჩევნებში მათ ხმას არ მისცემს.

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტს არც ის დაუშალავს, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მიაჩნია ბიუჯეტი შესრულდეს: მაგალითად, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი მასწავლებლებს არდადეგებზე უხელფასოდ გაუშვებს, ხოლო მათი ხელფასებისთვის გადარიცხულ ტრანსფერს ბიუჯეტის შევსებას მოახმარს.

არსებობს ბიუჯეტის შევსების სხვა უფრო “ცივილური” გზებიც. მაგალითად, მიდდარი ოლიგარქების კანონმდებში დაბარება და მოპარული ფულის მცირე ნაწილის დაბრუნების მოთხოვნა. თუმცა, ეს ნაკლებ საგარეულოა სუსტი და უზნარო ხელისუფლების მხრიდან.

ასე რომ, შევარდნაძის ურყევი ნება, საპარლამენტო არჩევნებში დემაგოგი და პოპულისტი ოპოზიციის გამარჯვება არ დაუშვას, მისი გარემოცვისთვის სულაც არ ნიშნავს გარდტეხას ქვეყნის ეკონომიკაში - ის ყველა იმ ნებადართული თუ ნებადართავი ბერკეტის გამოყენებას გულისხმობს, რომლის საკუთარ ხელში კონცენტრირება ხელისუფლებას ჯერ კიდევ შეუძლია.

ამ ბერკეტების გამოყენება გაცილებით ადვილი იქნება რეგიონებში, მით უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლებას ჰყავს ლეგან მამალაძე ქვემო ქართლში ან მედიკო მეზურშიაძე კახეთში. ქვემო ქართლში ყველაფერი, როგორც ყოველთვის, გარკვეულია. შედარებით დემოკრატიულ კახეთში კი სასურველი პრაქტიკის დახერხვა თელავის “მამალმა” გამგებელმა უკვე დაიწყო და საბიუჯეტო ორგანიზაციაში მომუშავე ყველა ადამიანი “მოქალაქეთა კავშირში” გაანვერია, ხოლო სოფლები, სადაც “მოქცევირმა” ნაკლები ხმები მიიღო, სამავალითად, უშუალოდ დასაჯა. იმ სოფლებს კი, რომლებიც სახელისუფლო პარტიას ხმას არ მისცემენ, მეზურშიაძე, უკვე დიდი ხანია, დაემუქრა კახეთის რუკადი ამოშლით.

ასე რომ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ძალაუფლებას შესანარჩუნებლად ხელისუფლება უფრო მობოლიტოვდება და, შესაბამისად, უფრო სამშობ გახდება. კიდევ უფრო სამშიმ ხდება თავად შევარდნაძემ, რომელიც მხოლოდ საკუთარი გარემოცვის აზრებსა და სურვილებს ახმოვანებს, თანდათან სულ უფრო მეტად კარგავს რეალობის შეგრძენებას და მზადაა, რომ ძალაუფლების შენარჩუნებას ყველა და ყველაფერი შესწიროს.

პირავალი ბავარდიდან

ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ “კომიტეტი უახლოეს მომავალში თხოვნით მიმართავს გენერალურ პროკურორს, რათა შეიქმნას სათანადო კომისია, საჭიროების შემთხვევაში, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და პასუხისგებაში მიეცენ ის პირები, რომლებმაც თავიანთი ქმედებებით განვეყის პროცესის საბოტირება მოახდინეს”. მისივე თქმით, “დადგენილი სამხედრო ფულადი ბეგარა-მოსაკრებლის სახით, სამშობდგომო განვეყის პერიოდში, ბიუჯეტში მხოლოდ 248 ათასი ლარი შევიდა, მაშინ, როდესაც გასანვევი კონტინგენტის რაოდენობა 150 ათასს აღემატება და ბიუჯეტში, მინიმუმ, 10 მილიონი ლარი მაინც უნდა შესულიყო”.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გაუმძღვლ სხდომაზე, რომელსაც სამხედრო უწყებების წევრებიც ესწრებოდნენ, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გელა უფრელიძემ კომიტეტს საკმარებ შემოფთობელი მონაცემები გააცნო.

როგორც ვაირკვა, დღეს საქართველოში 157 130 ადამიანი ექვემდებარება გაქვევას. აქედან, სხვადასხვა მიზეზებით, გაქვევა გადაუვადდა 85 800-ზე მეტს. დარჩენილი 71 249-დან 18 446 წვევამდელი საქართველოში არ იმყოფება, 17 000-ზე მეტი კი იძალება. დარჩენილია 32 259 წვევამდელი, რომელთაცანაც, დაახლოებით, 12 000 კომისარიატებისთვის “დაკარგულ კონტინეტად” ითვლება, რადგან ისინი სამხედრო სამსახურს აჭარბში, ახალქალაქსა და ახალციხეში მოიხდიან. რჩება 19 347 წვევამდელი. თუმცა, თავდაც-

2003 წლის ბიუჯეტი ქალაქობის შესანარჩუნებლად

ერთ წელიწადს კი არა, ალბათ, უფრო მეტ ხანსაც გაუძლებდნენ ბიუჯეტზე დამოკიდებული ადამიანები - ხელისუფლების მიერ მიცემული პირობის გულწრფელობაში რომ იყვნენ დარწმუნებულნი. მაგრამ როგორ გინდა ირწმუნო უნდაც პრეზიდენტის დანაპირები, როდესაც იგივე საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის გათანაბრების საკითხში მთავრობის წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ? ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის თქმით, ამ საკითხზე ვერ არავის უშუშავია და სათანადო გათვლებიც არ არსებობს. მისგან განსხვავებით, ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე საუბრობს სამწლიან სამთავრობო პროგრამაზე, რომლის განხორციელების შემდეგაც “გაერთიანებულ დემოკრატებს” ხმა აღარ ექნებათ ამოსაღები, ხოლო შევარდნაძე ყველაფერს თავდაყირა აყენებს და პრობლემის გადაჭრას საზოგადოებას უკვე საგაისოდ ჰპირდება...

“ბიუჯეტი არის კანონი და ის აუცილებლად უნდა სრულდებოდეს. ვინც ამას არ გააკეთებს, პასუხს აგებს”, - საკმაოდ კატეგორიულია საკანონმდებლო ინიციატივა 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ მხოლოდ მომავალი წლისთვის ეწვენება რეალურად, თანაც მიმდინარე წლის ბიუჯეტის აუცილებლად შესრულების პირობით. **“ოპოზიციის შემოტევა მაშინ უკვე აზრს დაკარავს”, -** ერთნაღიანი მითმინებისკენ მოუწოდებს შევარდნაძე მცირეხელფასიანი მოხელეების უზარმაზარ არმიას.

გასულ წელს სახელმწიფო ხაზი-

ნას თითქმის 100 მილიონი ლარი დააკლდა, მაგრამ “მთავარი დამნაშავეები” - ფინანსთა მინისტრისთვის - ამაზე პასუხი არავის მოუთხოვია იმ უზარალო მიზეზის გამო, რომ მირიან გოგიაშვილი აღმასრულებელთა თავყრილობას არ ესწრებოდა: იგი 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის “პროპაგანდისტის” გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, პარლამენტში იმყოფებოდა. ამიტომ საგადასახადო სურათის მთავრობის წინაშე შელამაზებულად წარმოჩენის “პატივი” წილად ხვდა მის მოადგილეს - ლევან ჩრდილოელს.

სწორედ მან აუწყა პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს, რომ 2002 წლის ბიუჯეტი 90 პროცენტით შესრულდა და ხაზინას დააკლდა 55 მილიონი ლარი გრანტებიდან, 7 მილიონი - არასაგადასახადო შემოსავლებიდან (ჯარამები, დივიდენდები და ა.შ.), 36 მილიონი - საგადასახადო შემოსავლებიდან...

ხელისუფლების უმაღლესი ემელონის წარმომადგენლებში ჩრდილონის ინფორმაციას მაინცადამაინც დიდი შემოფთობა და აღშფოთება არ გამოუწვევია. მათ, ეტყობა, იმით “დაიმშვიდეს” თავი, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად მთლიანად შესრულდა საგადასხვა ფონდების (საპენსიო, სოცურზრუნველყოფის, საგზაო) საპროცენტო მანქნეულები, სრულად დარიგდა პენსიები და შემწობები, ასევე მთლიანად გაიცა ხელფასები და დიფარა უტვადობა სახელფასო დავალიანების ნაწილი...

“100-მილიონიანი ჩავარდნა და ცულ მუხლებს თითქმის არ შეე-

გიორგი ბარამიძე: ხელისუფლება ბიუჯეტს „დემოკრატიის“ ბარბაზში მიიღებს

2003 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით “დემოკრატებს” პოზიცია არ შეუცვლიათ და არც მთავრობის მიერ პარლამენტში ხელახლა შეტანილი ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერას აპირებენ.

“ჩვენი ინიციატივა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდისა და საარსებო მინიმუმთან გათანაბრების თაობაზე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არასერიოზულად განიხილა და ამ საკითხზე დებატები

წულზე წააგო”, - განმარტა გიორგი ბარამიძე.

ბარამიძე ელენე თევდორაძის მიერ ფრაქციის დატოვების შესაძლებლობას გამოირცხავს. “თევდორაძის დეპუტატი არ არის, რომ თანამდებობისთვის საკუთარ ფრაქციას გაუწყნრეს და სხვა ფრაქციებში ექცეთ თავს თავსაფარო. იგი ემოციური ადამიანია და უფრნალისტებით განცხადება ფრაქციის შესაძლო დეტოვების თაობაზე, ალბათ, ამიტომ

გააკეთა”.

გიორგი ბარამიძის თქმით, ფრაქციის წევრები თევდორაძეს ყოველთვის გვერდში ედგნენ და ახლაც მხარს დაუჭერენ ადამიანის უფლებების დეპუტატი არ არის, რომ თანამდებობისთვის საკუთარ ფრაქციას გაუწყნრეს და სხვა ფრაქციებში ექცეთ თავს თავსაფარო. იგი ემოციური ადამიანია და უფრნალისტებით განცხადება ფრაქციის შესაძლო დეტოვების თაობაზე, ალბათ, ამიტომ

“24 საათი”



ქარში მალე ალბათ, მხოლოდ გენერლები დარჩებიან. ვის სამინისტროს წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ ახალგაზრდების ნაწილს სამხედრო სამსახურს გადა-

უვადებენ. ამას გარდა, 1278-მა წვევამდელმა უკვე გადაიხადა მოსაკრებელი ორასი ლარის ოდენობით,

ქალკონება დაფინანსება ოდნავ გაიზარდა

ვლად 57 მილიონ 300 ათასისა. უშიშროების სამინისტროს ბიუჯეტი 11 მილიონ 668 ათასს შეადგენს, რაც ერთ მილიონით მეტია წინა პროექტთან შედარებით. ასევე გაეზარდა დაფინანსება საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის (12 მილიონ 200 ათასი), დაზვერვის სამსახურის (მილიონ 850 ათასი), სახელმწიფო

დაცვის სპეციალურ სამსახურს (12 მილიონ 600 ათასი ლარი). რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, მისთვის ბიუჯეტში დამატებითი თანხები თითქმის ვერ გამოიძენა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის თქმით, დაფინანსების ზრდის ტენდენცია

“აშკარად დადებითი მოვლენაა”, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ თანხებით სამხედრო სფეროში პრობლემების მოგვარება უკვე შესაძლებელია. იგი აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის გამოყოფილი თანხები საკმარისი არ არის.

“24 საათი”

გამომცემელი რუსთავე 2 პრინტი. მმამარინ რამბლტორნი მამუკა ფარაშვილი. პაატა გვენაძე (მწართველი რედაქტორი), გიხტაგ ნადარეგი (გამომცემელი რედაქტორი), ირაკლი ლევანა (მასხუსმგებელი რედაქტორი), დემბტმამი: დღედაცვალი - დავით მაღრაძე, ოლიგრატირა - მაღლას ხარაგლი, სამყარი - ქეთევან სადღობეშვილი, კამპიონალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიონია მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარაშვილი, ბიზნესი - ვიორი გალანაძე, საგაფი - ვალერი ჯიჭინაძე, ფოტო: ლევან კვიციანი (რედაქტორი), გუპი გოგიაშვილი, გიორგი ხინლაძე, კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხიანი (მწვედერი), მიაა გიაშვილი, ლელა ნიჭირიშვილი, ბექა ბალარაშვილი, დავით გიგეჭკორი, დიმიტრი მალატაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მთიურიშვილი, თენგივ ქორია, პაატა ქორიძე, სტამნი: ნანა ჯობარძიძე, თამარ კვაჭანტარაძე, ჯუანანერ ტკარაძე, ლია თოფურია, რამალამა - ზურა ჯაშვილი.

“რუსული მხარის ცინიზმმა გაბვარდნა”

პირველი გვარდიანა

მაინც შეეცადეთ სიტუაციაში გარკვევა. დღევანდელმა დღემ პროცესს არაფერი შემატა, ხვალ, არც კი ვიცი, აზრი აქვს თუ არა კონსულტაციების გაგრძელება. ჩვენმა რუსმა კოლეგებმა გვაგრძობინეს, რომ ამ პრობლემის სათავე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშია, რომ ეს საქმე, უფრო მაღალ დონეზე, მხოლოდ იქ უნდა გაირჩეს და საერთოდ, აფხაზეთის პოლიტიკური პრობლემის მოგვარებამდე ასეთ სიურპრიზებს უნდა ველოდეთ.

ამაზე რუსი კოლეგებიც გვეთანხმებიან, მაგრამ, როცა საქმე პრინციპულ გადაწყვეტილებას მიადგება, ისინი სადღაც მიდიან და ვილაცასთან ათანხმებენ. გასაგებია, რომ აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის შემწყვეტნი ესენი მომავალში არ არიან. აქ სხვა დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო. ჩვენი ოპონენტებიც ხელს საგარეო საქმეთა სამინისტროსაკენ იმეორენ. მე ხელთ მაქვს ამ ოქმის პროექტი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ რუსეთი ვალდებულია იღებს, საქართველოსთან შეთანხმებულად აფხაზეთის მიმართულებით სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები არ განახორციელოს.

ერთი პრობლემა ამის მივარტყვით მოლაპარაკებები. ლმის პასუხად ცინიკური რჩევა მივიღეთ - რატომ არ ელაპარაკებით არძინბასო, რაზედაც მე ვიკითხე, თქვენ რატომ არ ელაპარაკებით მასხადოვს-მეთქი. და ასე გავრძელდა სიტყვიერი პაექრობა. მე არ ვიცი, ხვალ რას უნდა მივადინოთ.



მერაბ ადიგოვილი არ იცის, ღირს თუ არა კონსულტაციების გაგრძელება.

სამსუხაროდ, მთავარი პრობლემა მოუგვარებელია.

- რუსეთის გზათა სამინისტრო აცხადებს, რომ სოჭი-სოხუმის ელექტრომატარებელი წმინდა კომერციული პროექტია.

- მაშინ აღიარონ, რომ ამხელა სახელმწიფოც კომერციული წარმონაქმნია. რას ნიშნავს კომერციული სტრუქტურა და პასუხისმგებელი არავინაა? ცნობილი ფორმულაა, რომ რუსეთიდან საქართველოში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მხოლოდ პოლიტიკური დარეგულირების შემდეგ უნდა მოხდეს. რატომ

არავინ უნებს ამას ანგარიშს მოსკოვში? სოხუმი-ერევნის მიმართულება? კომერციულია?

- თქვენც აპირებთ ცინიზმს ცინიზმით უპასუხო?

- ჩვენ ერთიანობით უნდა ვუპასუხოთ, სხვა გამოსავალი არ გვრჩება. მოსკოვში ისეთი გაკეთილი მივიღე, რომ კარგა ხანს შემახსოვრება. ჩვენი ერთი თუ არ გამოთიანდა, თუ, რუსეთის მსგავსად, კრიტიკულ მომენტში ყველა პარტია და მოძრაობა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის ირგვლივ არ დაირაზმა, არაფერი გვემელება.

ბანადი ზიზანოვი: "რუსეთი შევარდნაქმს არაფერს აღარ შეუთანხმებს!"

სოხუმის მიმართულებით პირველი ელექტრომატარებლის გაშვებაზე თბილისის რეაქციამ რუსეთის პირველი კომუნისტის რისხვა გამოიწვია. "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება რუსეთიდან აფხაზეთში რკინიგზის გახსნას.

- პირადად ჩემთვის ეს სასიხარულო ფაქტია. ამიერკავკასიის რუსეთთან ორი გზა აკავშირებდა - სოხუმისა და ბაქოს გავლით. ქართველმა ვაი-პოლიტიკოსებმა ყველაფერი იღონეს ამ სასიცოცხლო მაგისტრალის დასაზღვრად. მათ პირად ინტერესები შედის, რაც შეიძლება, მეტი ვნება მოუტანონ საკუთარი ხალხს. არადა, რატომ არ უნებენ თბილისში იმას ანგარიშს, რამდენად ადამიანი ნახავს ეკონომიკურ და სოციალურ მოგებას ამ გზის გახსნით? არ შეიძლება, ერთი კაცის ჭირვეულობის გამო სამი რესპუბლიკის მოსახლეობა სიცოცხლის გზას მოწყვეტოთ, არ შეიძლება ისედაც ვალტაკეული ხალხებისთვის მთავარი საარსებო არტერიის გადაჭრა. ნახეთ, რა მიმდინარეობს აფხაზეთში, არც საქართველოშია უკეთესი მდგომარეობა. ამიტომ ელექტრომატარებლის გაშვება-

ზე პროტესტის გამოხატვა შეუძლიათ მხოლოდ პროვოკატორებსა და ავანტიურისტებს, ვისაც ქართველი ხალხისათვის დღემდე ცრემლისა და სიღატაკის მეტი არაფერი მოუტანია.

- ოფიციალური თბილისის უკმაყოფილება იწვევს ის, რომ რკინიგზის გახსნას მათთან შეთანხმებულად მოხდა.

- მე ქართველ ხალხს მოეუწოდებ, დანყნარდეს და შეიგნოს, რომ რუსეთი შევარდნაქმს არაფერს აღარ შეუთანხმებს.

- რატომ, შევარდნაქმ საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის?

- იმიტომ, რომ თქვენი პრეზიდენტი დღეს აგრესიულ ანტირუსულ პოლიტიკას ატარებს და რაც მალე გადადგება ან საერთოდ წავა პოლიტიკიდან, მით უკეთესი იქნება ქართველი და აფხაზი ხალხებისათვის. შევარდნა-

ქმს დღეს სძინავს და ვიზნერება, როდის შევა საქართველო ნატო-ში, თქვენი მინისტრები კი მოსკოვში დროს ტარებენ.

არამარტო სარკინიგზო მიმოსვლა, საპაერო მიმოსვლა უნდა აღვადგინოთ აფხაზეთთან, საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, იმის მოუხდევად, ანუ ვთუ არა დღეს ეს შევარდნაქმსა და მის რეჟიმს. მართალია, საქართველოს ვაშინგტონისაკენ აქვს მზერა მიმართული, მაგრამ ამ სარკინიგზო კონფლიქტმა თბილისის კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ რუსეთს ვერად გაეცემა.

- კი მაგრამ, რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტის თაობაზე ყოველთვის ხმაშალდა განცხადებებს აკეთებდა და მათ შორის თქვენც.

- ბოდიში, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ 1991-ში ასევე უხეშად დაარღვევს სსრკ-ს ტერიტორიული მთლიანობა? შევარდნაქმსა და გორბაჩოვს მაშინ მილიონების განწყობა არ გაუთვალისწინებიათ.

350 დღე „აბსოლუტურ ბედნიერებაში“

პირველი გვარდიანა

რუსეთის მოქალაქეობისკენ ორგანიზებული სვლა აფხაზეთში 2002 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა მოსკოვმა გაამარტოვა მოქალაქეობის მიღების პროცედურა იმ პირთათვის, რომლებსაც "საბჭოთა ვაჟების მოქალაქეობა შეინდოთ, ცხოვრობდნენ და დღემდე ცხოვრობენ ქვეყნის მიწაზე, მერ-14 თავი, "ვ" პუნქტი). რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და დუმის ინიციატივით, ასეთი კატეგორიის პირთათვის (და მათი ოჯახებისთვის), მოქალაქეობის მისაღებად, რუსეთის ტერიტორიაზე ხუთი წლის მანძილზე ცხოვრება საჭირო აღარ გახდა. "რუსეთის მოქალაქის სტატუსის მისაღებად საკმარისია, რომ ძველი ნიშნის (სსრკ-ს) პასპორტში, რომელიც 2003 წლის ბოლომდე მოქმედებდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო განყოფილებაში ჩაართმევიონოთ ბეჭედი "რუსეთის მოქალაქე". შემდეგ, რუსეთის ნებისმიერი ქალაქის ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილებაში (ვდრგ) წლის ბოლომდე წერილობით მოითხოვოთ, ძველი პასპორტის რუსეთის ახალ პასპორტზე გადაცვლა. ვდრგ ამ მონაცემებს გადაგზავნის იმ საკონსულტაციო განყოფილებაში, სადაც პროცესს რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი ბეჭედი ჩაურთეს, თუ ბეჭდის ლეგალიზაცია დადასტურდა, პროცესმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე, რუსეთის მოქალაქის პასპორტს მიიღებს", - ამბობს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთის ადმინისტრაციული მხარის ვდრგ-ის წარმომადგენელი იგორ კრლოვი.

ლეობას არ მიუღია საქართველოს მოქალაქეობა შესაბამისად, ჩვენ ვვადგებით მოქალაქეობის არმიქონების იმ კატეგორიაში, რომელსაც შეუძლიათ რუსეთის მოქალაქეობა მიიღონ", - ამბობს რუსეთში სეპარატისტების წარმომადგენელი იგორ ახმა, თუმცა იქვე აღიარებს, რომ "აფხაზეთში რუსეთის ახალ პასპორტებზე ძველი პასპორტების გადაცვლის მექანიზმი დღემდე შემუშავებული არ არის".

ათი ათასობით მავალით ადასტურებს, რომ რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი ახალი პასპორტის მისაღებად რუსეთის ნებისმიერი ქალაქის ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილებაში მისვლა საკმარისი სულაც არ არის.

53 წლის სერგეი დუიკოვი მეორე წელია ცდილობს ძველი საბჭოთა პასპორტის ახალზე გადაცვლას. "1995 წლამდე ვცხოვრობდი თურქ-მენეთის ქალქ ნებიტ-დგაში, იქვე 1994 წელს ჩამირტყეს რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი ბეჭედი, თურქმენეთის მოქალაქე არასოდეს ვყოფილვარ, 1995 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობ, მეორე წელია უშედეგოდ ვცდილობ ახალი პასპორტის აღებას. ვდრგ-ში მეუბნებიან, რომ ეს ბეჭედი სულაც არ ნიშნავს, რომ მე რუსეთის მოქალაქე ვარ. მეუბნებიან, რომ დავბერუნდე თურქმენეთში და იქ გავარკვიო ყველაფერი. გამოიღს, რომ მე ვარ მოქალაქეობის არმიქონე პირი, რუსეთში კი უკვე მეშვიდე წელია ვცხოვრობ", - ამბობს დუიკოვი.

"1994 წლამდე ვცხოვრობდი ყაზახეთში, მოქალაქეობა არ მიმიღია, 1993 წელს, აღმა-ათაში, რუსეთის საკონსულტო, პასპორტში რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი შტამში ჩავაკრევიყვე, რისთვისაც 850 ტენგე გადავიხადე. 1994 წლიდან მოსკოვში ვარ, არავითარი პრობლემა არ შექმნია, არც ჩანერის და არც მუშაობის. როცა საქმე პასპორტების გამოცვლაზე მიდგა, მიხარეს, რომ ჩემს პასპორტში არსებული შტამში უკანონოა. ვერ გამიგია, ვარ თუ არა რუსეთის მოქალაქე?" - ეს უკვე 46 წლის სერგეი ნიკიტინის ისტორიაა.

"ზუსტად იგივე პრობლემა მქონდა, მირჩიეს სასამართლოში მიჩვილა. ვიჩილე. სასამართლომ დაადგინა, რომ ვარ რუსეთის მოქალაქე. ვდრგ-მ გაასაჩივრა შემდგომ ინსტანციაში, სასამართლო უკვე მეორე წელია, გრძელდება. არ ვიცი, რა ვქნა", - ყველა 31 წლის ვადმი ერთი ტიპმედიანა.

"ჩვენს სადგოვატო ბიუროს, თვეში ასეთ და მსგავს სიტუაციებში ჩავადრდილი, დაახლოებით ათასი ადამიანი მომართავს, ყველას ვურჩევთ, მოთხოვონ ვდრგ-ს წერილობით დადასტურებული უარი, სადაც ახსნილი იქნება, რის საფუძველზე არ ვასცემენ ამ პიროვნებაზე ახალ პასპორტს და შემდეგ იჩივლონ სასამართლოში," - გვითხრა ეკატერინბურგის ადვოკატთა კოლეგიის წევრმა, სადგოვატო კომპანია "თქვენი უფლებების" წამყვანმა ადვოკატმა იგორ უპოროვმა.

რა მოხდება, თუ თავისუფლების მოყვარე აფხაზები 2003 წლის 31 დეკემბრამდე (აფხაზეთს "აბსოლუტურ ბედნიერებამდე" ზუსტად 350 დღე დარჩათ) ვერ გადაცვლიან ძველ პასპორტებს ახალზე.

"სახელმწიფოს მხრიდან არავითარი სანქციები არ იქნება. ვინც ვერ გადაცვლის, საკუთარ თავს დასჯის. ძველი პასპორტით, რომელიც 2003 წლის 31 დეკემბრის შემდეგ გადაგასული იქნება, ვერ მიიღებენ პენსიას, ვერ იყლიან ბიულის თვითმფრინვაზე ან მატარებელზე, ვერ ჩავერებიან პოლიკლინიკაში, ვერ შეხვდებიან ოფიციალურ პირებს და ა.შ." - ამბობს მოსკოვის საპასპორტო განყოფილების უფროსი მიხეილ სეროვი.

"სსრკ-ს დროინდელ პასპორტებში შტამის ლეგალიზაციის ცნობა, პოლიტიკურ საკითხად რჩება, რომელსაც მოსკოვი გადაწყვეტს ისე, როგორც მისთვის იქნება უკეთესი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე", - აღნიშნავს გუმინდელი "ნეზავისიმია ვაზეტა".

ვადიმ მოროზოვი: "რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტრო ვასუსს არ აჯავს"

სოჭი-სოხუმის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის განახლებაზე მოსკოვში ქართულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, რუსეთის მიმოსვლის გზათა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვადიმ მოროზოვმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა "24 საათს".



ვადიმ მოროზოვი.

- დღეს გვერნდა დეტალური საუბარი ჩვენს ქართველ კოლეგებთან. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო მათი პრეტენზიებისა და შენიშვნების მოსმენა აფხაზეთის მიმართულებით ელექტრომატარებლის გაშვებაზე. მე გულწრფელად ვუთხარი ბატონ მერაბ ადიგოვილს ასეთი ფრაზა: არასოდეს ყოფილა ჩვენი მხრიდან იმის მცდელობა, რომ ქართულ მხარესთან 1994-1996 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები დაგვერღვია ან კანონები არ დაგვეცვია. მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველს მთელი პასუხისმგებლობით განვუცხადო: იმას, რაც დღეს აფხაზეთის მიმართულებით რკინიგზაზე ხდება, ჩვენს სამინისტროსთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.

- ე.ი. თქვენი სამინისტროს გვერდის ავლით გადაწყდა სოჭი-სოხუმის მატარებლის გაშვება?

- ეს ნამდვილად ასეა და ამაზე პასუხისმგებლობას ჩვენი უწყება არ კისრულობს. ჩვენ ამ საქმეში სუფთა ვართ და არც ერთი კანონი არ დავიკრძევი. მოდით, ისიც ვთქვათ, რომ დღემდე არავის გამოუცხადებია ბლოკადა აფხაზეთისათვის - არც რუსეთს და არც, მით უმეტეს, საქართველოს. ამიტომ, თუკი დღეს რამე ეკონომიკური ხასიით გადაადგილებებს აქვს ადგილი აფხაზეთის მიმართულებით, ეს სუფთა კომერციული სტრუქტურების პრეროგატივაა.

- ხომ ვერ დავგისახელებთ იმ კომერციულ სტრუქტურას, რომელმაც სოხუმის მიმართულებით შემადგენლობა გაუშვა?

- სამსუხაროდ, არ ვიცი. ჩვენი უწყების წარმომადგენლებს ეს ხალხი არ შეხვედრია. ყველაფერი ადგილზე გადაწყდა. ასეთი სტრუქტურები, სააქციო საზოგადოებების სახით, მრავლდება. ისინი ჩვენგან იჯარით იღებენ ელექტროშემადგენლობებს და ისე იყენებენ, როგორც თავად მიჩნევენ საჭიროდ. ამ სიტუაციაში იყო სათანადო მომართვა კრანსდარის მხარის რომელიმე სააქციო საზოგადოებისაგან სოჭი-სოხუმის მიმართულებით კომერცი-

ული შემადგენლობის გაშვებაზე. შესაბამისმა უწყებებმა საჭირო დოკუმენტები გააფორმეს და დადეს კიდევ ხელშეკრულება. ჩვენ თანხმობა გავცით.

- როცა თქვენი უწყება ამ ელექტრომატარებლის გაშვებაზე თანხმობას აცხადებდა, რატომ არ გაითვალისწინეთ აფხაზეთთან დეკავშირებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია?

- არც პოლიტიკური მომენტების გათვალისწინება ჩვენი უწყების პრეროგატივა და ჩვენს კომპეტენციაში არ შედის არც სახელმწიფო საზღვრის პრობლემა - ამაზე პოლიტიკოსებმა იმსჯელონ. ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ამის შესახებ ქართველ მინისტრსა და მის მოადგილეს შესაბამისი განმარტება უკვე მივცით. ჩემი აზრით, პრესაში ამ ელექტრომატარებელზე უადაგილო და ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა.

მე ბატონ მერაბ ადიგოვილს ასეთი კარგი ფორმულაც შევთავაზე: მოდით, კომერსანტებს ინიციატივა წავართვათ და ჩვენვე შეუვადგეთ ამ მომგებიანი პროექტის განხორციელება-მეთქი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსკოვი-თბილისი, მოსკოვი-ერევნის სარკი-

ნგო მაგისტრალის უმოქმედება დღეს არ არის ნორმალური მოვლენა. რამდენი წელია, ყველა ზარალდება ამით. მართალია, ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ, მაგრამ სატრანსპორტო სიტუაციის გამოსწორებით საერთო მდგომარეობის გაჯანსაღებაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლებელია.

- სარკინიგზო სკანდალმა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა გაამწვავა. ამაზე პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?

- ვიმორებ, ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ. იმედ მაქვს, რომ მოსკოვში ყოფნის დროს ქართული დელეგაცია მარტო ჩვენთან კონსულტაციებით არ შემოიფარგლება და სხვაგანაც გამართავს შეხვედრას. თუ ამ საკითხში გაუგებრობა მაინც დარჩება, მაშინ ქართველებმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა მიმართონ. მე ვიცი, რომ საქართველოს ელჩი უკვე იყო საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში. ეს საქმე მათი პრეროგატივაა. ამ პრობლემის პოსტიკური მხარის გარკვევა რუსეთის მომგებიანი პროექტის განხორციელება-საშუალოა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსკოვი-თბილისი, მოსკოვი-ერევნის სარკი-

ახალი სერვისი ჯიოსისგან!!!

შეავსათ თქვენი ანგარიში დღიდან უკვე ინტარნეტის საშუალებით!

მისამართზე **www.issa.ge**

- შეიყვანეთ GSM ნომერი და პაროლი

- აირჩიეთ პუნქტი **Scratch Card Activation**

- მიუთითეთ **ASTRA** ბარათის საბატონო კოდი და ბარათზე არსებული თანხა მომენტალურად დაბარიხსებათ ანგარიშზე.

ისარგებლეთ ბალანსის ყველაზე თანამედროვე ფორმით!

ალნიშული სერვისით სარგებლობა შეუძლიათ ჯიოსის საავანსო და საკრედიტო სისტემის აბონენტებს.

ISSA

ს ე მ ს ე დ ი

ინფორმაციისათვის დააკავთ 928 36 822 770 177

იყავით სანახე! და მოიგეთ მრავალი ჰრიზი ჯიოსადთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, VESTEL-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და DVD სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* SAMSUNG-ისა და NOKIA-ს ტელეფონები, ელ-გეხერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.


ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- ☉ იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- ☉ უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

საქართველოში ჯეოსელმა პირველმა შესთავაზა აბონენტებს SMS- მოკლე შეტყობინების მომსახურება?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით. გამოიხსნეთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარიტ:

- ☉ კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- ☉ არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ნივა

ჯეოსელი

დამატებით ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მალაზიები: თბილისი, გარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ურას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

სანახადო ფანჯარა ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იხქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

ტანდარის მკაცრი პირობები და „თბილწყალკანალი“ ერთი მუხტარი

“თბილწყალკანალის” სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გასული წლის ზაფხულში გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი, ფრანგული კომპანია. ტენდერში მონაწილე კომპანიის ვინაობა გუშინ გვიან საღამოს გაირკვა, როდესაც სატენდერო კომისიამ წარმოდგენილი წინადადებების პაკეტი გახსნა. “ჟენერალ დე ზო” არის წყალმომარაგების ის კერძო ოპერატორი, რომელსაც, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, “თბილწყალკანალი” ათწლიანი იჯარით გადაეცემა.



ჟენერალ დე ზოს პაკეტი გუშინ გახსნა.

ეთარი მამულაშვილი

“თბილწყალკანალმა” ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტის გაცემის შემდეგ გამოაცხადა. 25 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტი მსოფლიო ბანკმა 40-წლიანი ვადით გასცა.

ტენდერში მონაწილეობის სურვილი თავიდან ხუთმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა, თუმცა ბოლო წუთს, სხვადასხვა მიზეზების გამო, დანარჩენმა ოთხმა უარი განაცხადა. როგორც “თბილწყალკანალში” გეითხერეს, უცხოური კომპანიების მიერ უარის თქმის ძირითადი მიზეზი გახდა ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა და პროექტის პირობების სისხსტე. “როდესაც ეს პროექტი მუშავდება, მსოფლიო ბანკს ეჭვი ეპარებოდა, რომ რომელიმე უცხოელი ინვესტორი დაინტერესდებოდა. პროექტი უცხოური მხარისთვის ხისტია. ის დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ტენდერში მონაწილე კომპანიას, თუმცა ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა”, - აღნიშნა “24 საათთან”

გაზსადენის ავარიასა და პასუხისმგებლობა რუსეთს აკისრებს

სოფიო ოხანაშვილი

გუშინ, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრის მახლობლად, “გაზპრომის” კუთვნილ გაზსადენზე მომხდარი ავარიის აღდგენაზე მიწვეულმა ქართველმა სპეციალისტებმა 1200 მმ-იანი გაზსადენიდან ძველ 700 მმ-იან გაზსადენზე გადაართვის ოპერაციის განხორციელება დაიწყეს. 1200 მილიმეტრიანი მაგისტრალური გაზსადენი 14 იანვარს, დილის 4 საათზე, სოფელ ლარსის მახლობლად, დაზიანდა. გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორის ირაკლი კიხიას განცხადებით, ჯერჯერობით, არ არის დადგენილი ავარიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა. მისი თქმით, ამ მიმართულებით ქართველი და რუსი სპეციალისტები ერთობლივი ძალებით მუშაობენ.

დაზიანებული მილის აღდგენითი სამუშაოები, კიხიას თქმით, ფაქტობრივად, უკვე დაწყებულია. აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა ადგილზე ავარიის დღესვე მიიტანეს. გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორის ცნობით, აღდგენითი სამუშაოების რუსული კომპანია “კავკაზტრანსგაზის” სპეციალისტები ჩაატარებენ. “ხუთშაბათს მეცოდინება, თუ როდის დამთავრდება აღდგენითი სამუშაოები”, - განაცხადა კიხიას.




Table with 5 columns: Country, Number of Companies, and other metrics. It lists companies from UK, USA, Euro, Yen, and other regions.

მთავრობა პარლამენტს ხელეხს უბრუნს

პირველი გვარდიანა

რეაგირების გარეშე შეხვდა. ჩანს, მინიმალური ხელფასის გასაზრდედ, დიდი ბრძოლა დაგეგმილება, - აცხადებს ბარამიძე. ბიუჯეტის პროექტში მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან მინიმალური ხელფასის მხოლოდ 35 ლარამდე გაზრდაა გათვალისწინებული. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტი მთლიანად შესრულდა.

ბიუჯეტის წარმოდგენილ ვარიანტს მხარს არც “ალორძინება” უჭერს. “ვიტალი ხაზარაძე და მისი აფსონები დღენიადაც იმით არიან დაკავებული, რომ უცხოეთიდან თავიანთი მომხრე კოლეგები ჩამოიყვანონ, ლოგინებიდან ავადმყოფები ააყენონ და ამ ერთ-ორი ხმით გაიტანონ ბიუჯეტი”, - ამბობს ფრაქცია “ალორძინების” წევრი სანდრო ბრეგვაძე. ფრაქციაში მიიჩნევენ, რომ პირველი მოსმენის შემდეგ ბიუჯეტში, პრაქტიკულად, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა. “ეს ბიუჯეტი, ფაქტობრივად, 2002 წლის ბიუჯეტის იდენტურია, ამიტომ ჩვენ მას მხარს არ დავუჭერთ”, - აცხადებს ბრეგვაძე.

ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს არც “მოდრობა დემოკრატიული რეფორმებისათვის”, თუ მთავრობა 2003 წლის ბიუჯეტში პენსიონერთა დავალიანების გასტუმრებას არ იგალებულეს.



გიორგი ბარამიძე

ამასობაში ფრაქცია “მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე არა თუ მხარს უჭერს 2003 წლის ბიუჯეტს, არამედ დარწმუნებულია, რომ მას პარლამენტის მხრიდან პრობლემები არ ექვს. სწორედ “მოქალაქეთა კავშირი” იყო პირველი ფრაქცია, რომელმაც ბიუჯეტი, ფინანსთა მინისტრთან ერთად, გუშინ დახურულ კარს მიღმა განიხილა. როგორც ვიტალი ხაზარაძემ ორსაათიანი კონსულტაციების შემდეგ განაცხადა, ფრაქცია ბიუჯეტის წარმოდგენილ პარამეტრებს დადებითად აფასებს და მას მხარს დაუჭერს. “უკვე ეჭვი აღარ



ვიტალი ხაზარაძე

მეპარება, რომ ბიუჯეტს მივიღებთ. მართალია, გვერდნა გარკვეული შენიშვნები, მაგრამ მთლიანობაში ბიუჯეტის პარამეტრები სასებითი და მაკამოფილებელია”, - მიიჩნევს ის. საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი მზადაა, ხაზარაძის მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა გათვალისწინოს, - ამის შესახებ მან ვიტალი ხაზარაძესთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს ფრაქცია “სოციალისტიკ”. ხოლო ფრაქცია “ახალი აფხაზეთი” პოზიციის დაფესქსირებისაგან ჯერჯერობით

იწყება საბიუჯეტო ბრძოლის მეორე რაუნდი

პარლამენტის ბიუროს დღევანდელი სხდომა (მიმდინარე წელს ის პირველად ტარდება) თითქმის მთლიანად საბიუჯეტო თემატიკით შემოიფარგლება - “გაგანა” ზამთრის არდადეგების დროს დეკლარაციის მხოლოდ იმით დაარსებულ პარლამენტში, რომ 2002 წლის დამლევს, ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური კანონის პირველი მოსმენით მიღებას, სულ რამდენიმე ხმა დააკლდა. ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნიდან განვივლოდ მცირე დროში ბევრი არაფერი შეცვლილა, მათ შორის, არც საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი პოლიტიკური გჯუფების პოზიციები.

გიორგი ასანიძელი

მთავრობის მიერ პარლამენტში თითქმის უცვლელი სახით შემოტრუნების მქონე შეიღველი იმედი უჭერს მხარს ფრაქციები: “თანადგომა”, “ლიანხა”, “მოქალაქეთა”, “სოციალისტები”, “მრეწველები”, “მაჭორტრები” და ენინალმდევება ოპოზიცია - “გაერთიანებული დემოკრატები”, “ახალი მემარჯვენეები”, “ნაციონალური”, “ტრადიციონალისტები”, “ალორძინება”, “XXI საუკუნე” და “ერთიანი საქართველი”.

ამდენად, ნაკლებად არის მოსალოდნელი, ბიუროს დღევანდელ სხდომაზე და მით უმეტეს, თავად რიგგარეშე სესიაზე (მისი გახსნა ზეგლისთვის არის დაგეგმილი) რაიმე სენსაცია მოხდეს. ბიუჯეტის პროექტის მეორედ განხილვის პროცესი, სავარაუდოდ, ერთხელ უკვე ნახანს ფლამის ხელახალ ჩვენების დაუმსაგებებას.

თუმცა, ოპოზიციის ბანაკში მიაჩნიათ, რომ ანალოგიები ბოლომდე არ გამოიყვანება. მაგალითად, ფრაქცია “ტრადიციონალისტის” პოლიტიკური მდგენელი ალექო შალაშვილი აცხადებს, რომ 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლით ნაწილში, ადრე შეპირებული 200-მილიონიან ნაცვლად, მხოლოდ 93 მილიონიან იქნება არის გათვალისწინებული. ამასთან, აუკი ასათიანის თანამოაზრე შემფორთხით საუბრობს იმაზე, რომ პრეზიდენტის ფონდი 14 მილიონ ლარით შეივსება, მაშინ, როდესაც ფინანსთა მინისტრი, რიგი ძალადგინებების სრულფასოვნად დასაფინანსებლად, სახსრებს ვერ პოულობს და

მათთვის მხოლოდ გროშებს იმეტებს. “საპარლამენტო არჩევნების ჩატარება პრეზიდენტის ფონდის გამოყოფილი სახსრებით არის ნაგავრადი. ხელისუფლებას სურს, ისე წარმოიხდეს საქმე, თითქმის არჩევნების გამართვა პირადად შევარდნაძის წყალობა და არა დემოკრატიის აუცილებელი ატრიბუტი”, - აღნიშნავს მალაშვილიძე. ამავე დროს, მას უსაფუძვლოდ ეჩვენება სახელისუფლო გუნდის თავდაჯერება იმასთან დაკავშირებით, რომ ზეგლიანდელ რიგგარეშე სესიაზე ბიუჯეტის პროექტს აუცილებლად დაუჭერს მხარს პარლამენტი.

“ამ მომენტისთვის კანცელარია, შესაძლოა, კიდევ აკონსტრუქციულდეს ბიუჯეტის მიღებისთვის აუცილებელი ნების რაოდენობას, მაგრამ ეს “საკონსტრუქციო პაკეტი” ძალიან მყიფეა, იგი 118-ხიან ზღვართან ახლოს გავის და გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა შეექმნება”, - ვარაუდობს “ტრადიციონალისტების” წარმომადგენელი. მისგან განსხვავებით, გაცილებით ოპტიმისტად წარმოიხდება “მოქალაქეთა” თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჯანდაცვისა

იანვრიდან ელექტროენერგის ძველ ტარიფს გადავიხდით

სოფო კვინიტაძე

იანვრის თვეში “ეი-ი-ეს თელასის” ქვითრებზე ისევ ძველი ტარიფი ანუ 12,4 თეთრი იქნება აღნიშნული. დანარჩენ 1,3 თეთრის მოსახლეობის ნაცვლად მთავრობა გადაიხდის. სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შეხვედრიდან გამოსული იგნასიო ირიბარენი საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა. “ეი-ი-ეს თელასის” ანგარიშზე უკვე გადაიხდა 7,8 მილიონი ლარი. ეს იმ თანხის ნაწილია, რაც ელექტროენერჯის გაზრდილი ტარიფის კომპენსაციას უნდა მოხმარდეს. “ეი-ი-ესის” გენერალურმა დირექტორმა სახელმწიფო მინისტრისაგან სხვა საუკუნისში გარანტიებიც მიიღო.

სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე რამდენიმე მიმდევრობაში საკითხი გადაწყდა. მთავრობა და “ეი-ი-ეს თელასი” საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ იანვრის თვიდან თბილისის მოსახლეობა ელექტროენერჯის საფასურს ძველ ტარიფით გადაიხდის. როგორც ცნობილია, სემეის გადაწყვეტილებით, ელექტროენერჯის ტარიფი 2002 წლის ნოემბრიდან განიზარდა და 13,7 თეთრი გახდა. მაშინ მთავრობა ირწმუნებოდა, რომ მოსახლეობას არ მოუწევდა გაზრდილი ტარიფის გადახდა. თუმცა, ორი თვის განმავლობაში - ნოემბერ-დეკემბერში - თბილისელი აბონენტები მისც იხდიდნენ ელექტროენერჯის 13,7 თეთრიან საფასურს. “ეი-ი-ეს თელასის” გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა განაცხადა, რომ ვინაიდან მას მთავრობამ გადმოურიცხა დაპირებული საკომპენსაციო თანხა, ამიტომაც იანვრის თვიდან კვლავ ძველ ტარიფი ამოქმედდება. ხოლო ის თანხები, რაც უკვე გადაიხდა მოსახლეობამ განვიდილი ტარიფით, ირიბარენის განცხადებით, თითოეული აბონენტის დეპოზიტზე დადგება. ამასთან ერთად, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ თუ აბონენტი შეწყვეტილი იქნება ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში (მცდელობაში, მას კომპენსაცია შეუწყდება).

იგნასიო ირიბარენმა სახელმწიფო მინისტრის წინაშე დააყენა კომერციულ დანაკარგებზე დამატებითი ღირებულების გადასახადის გაუქმების საკითხი. როგორც ცნობილია, აღნიშნულ



მთავრობა და “ეი-ი-ეს თელასი” დახვედრენ

ნულ შეღავათს “ეი-ი-ესი” კარგა ხანია ითხოვს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლევან ჩრდილელის ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილება უკვე მომზადებულია. იგი პარლამენტში უნდა განიხილოს და დამტკიცოს. ავთანდილ ჯორბენაძემ ცალსახად აღუთქვა ირიბარენს, რომ იგი მას ამ პრობლემას მოუგვარებს; აღმასრულებელი ხელისუფლება საგადასახადო კოდექსში ამგვარ ცვლილებებს მხარს უჭერს. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი აცხადებს, დაბევრობა არსებული სისტემა ენერგეტიკის სექტორში სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. ასევე ყველა ცალსახად აცხადებს ტარიფების მეთოდოლოგიის გარეშე ამოქმედდება. ხოლო ის თანხები, რაც უკვე გადაიხდა მოსახლეობამ განვიდილი ტარიფით, ირიბარენის განცხადებით, თითოეული აბონენტის დეპოზიტზე დადგება. ამასთან ერთად, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ თუ აბონენტი შეწყვეტილი იქნება ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში (მცდელობაში, მას კომპენსაცია შეუწყდება).

იგნასიო ირიბარენმა და “ეი-ი-ესის” საკუთრებაში არსებული აქციების ნაწილს. იგნასიო ირიბარენი ასევე გამოიტყვას ელექტროენერჯის ტარიფში “ეი-ი-ესის” წილის გაიავებასაც. სხვათა შორის, იმავეს აცხადებს სემეის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავიც. მისი თქმით, ტარიფის შემცირება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ არსებული საგადასახადო სისტემა შეიცვლება.

დანიამდელი თემატიკა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავსატეხი გაუჩინა მთავრობასაც და სემეისაც. ყველაზე ნაკლებად კი ეს გადაწყვეტილება “ეი-ი-ეს თელასს” ადგებდა. სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს. თუმცა, როგორც განხორციელდება “არც მხოლოდ და არც შამფურის დაწვის” პოლიტიკა, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

დაბოლოს, მისკოვში გამართული მოლაპარაკებები, რომელიც საქართველოს საბიუჯეტო მინისტრის დავით მირცხულავასა და “PAO E3C POCIII”-ის ხელმძღვანელობას შორის მიმდინარეობდა, მინისტრის მოდელი მერაბ კვციკვაძის ინფორმაციით, წარმოდგენილ დასრულდა. გაფორმდა ჩარჩო-ხელშეკრულება, რომელიც ელექტროენერჯის იმპორტს და მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობებს განსაზღვრავს. ჯერჯერობით, რუსეთთან ელექტროენერჯის იმპორტზე არ ხორციელდება. უახლოეს დღეებში აღდგება მოწოდება და საქართველო მიიღებს იმდენ ელექტროენერჯს, რამდენიც ენერჯტიკული სისტემის მდგრადობისთვის და სიმშრის შესანარჩუნებლად იქნება საჭირო.

ინტერვიუ

"საქართველო ისრაელისთვის ერთმნიშვნელოვნად მეგობრული სახელმწიფოა"

"24 საათის" სტუმარია ელჩი დავით შელეგი. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის განყოფილების დირექტორის მოადგილე

მოთა უტიაშვილი

- საქართველოს ებრაელ ხალხთან და ისრაელთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. რა ეტაპზეა ეს ურთიერთობები ახლა?

- საქართველოს დამოკიდებულება ებრაულ თემთან და ისრაელთან ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ებრაელები საქართველოში 26 საუკუნეა ცხოვრობენ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეს ურთიერთობები განსაკუთრებით გაღრმავდა. ურთიერთობების განვითარებას ხელს უწყობენ ისრაელის საელჩო თბილისში და საქართველოს საელჩო თელ-ავივში. შედგა რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტი, მათ შორის, საქართველოს ესტუმრა ისრაელის პრეზიდენტი. ჩვენ კარგი ურთიერთობები გვაქვს ყველა სფეროში. მაგრამ, ვფიქრობთ, მეტი უნდა გავკეთდეს, განსაკუთრებით, ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების თვალსაზრისით. ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ ისრაელის კომპანიები, მეტი ფული ჩადონ საქართველოში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ენერჯეტიკული დერეფნის განვითარება.

- რამდენადაც ისრაელი იქნება ბაქო-ჯეიჰანი თვითონ გადამდებული ნავთობის მთავარი მომხმარებელი, როგორ აპირებს იგი, ხელი შეუწყოს მის წარმატებულ განხორციელებას?

- ჩვენთვის ენერჯეტიკის განვითარება, რომელიც ჩამბულნი არიან ისრაელისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნები, დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც ხელი შეუწყო ნავთობსადენის პროექტის დაწყებას, ყველაფერს გააკეთებს მისი ბოლომდე წარმატებით მიყვანისთვის. ჩვენ ვუთხარით საქართველოს მთავრობას, რომ ჩვენს კომპანიებს სურთ, მაქსიმალურად ჩაერთონ ამ პროექტში.

- რას ფიქრობენ ისრაელის კომპანიები საქართველოში არსებულ საინვესტიციო კლიმატზე?

- ეკონომიკური საკითხები ჩვენს საუბრების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ჩვენ გვსურს, წავახალისოთ ისრაელის კომპანიები, რათა ჩამოვიდნენ აქ და თავიანთი თვალთი ნახონ აქაური შესაძლებლობები.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელი აპირებს ტერორიზმთან ბრძოლაში თავისი გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს სპეციალური დანიშნულების დანაყოფებს?

- ჩვენ ერთ-ერთმა პირველებმა გამოვცადეთ ჩვენს თავზე ტერორიზმის საფრთხე. დღეს ტერორიზმი გლობალური პრობლემა გახდა. ბუნებრივია, რომ მეგობარ სახელმწიფოებს ჩვენს გამოცდილებას ვუზიარებთ. საქართველო კი ისრაელისთვის ერთმნიშვნელოვნად მეგობრული სახელმწიფოა. ჩვენს ქართველ კოლეგებთან საუბარში ტერორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების საკითხები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო.

- რას იტყვით ისრაელის ურთიერთობებზე კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან?

- კავკასია, მთლიანად, ძალზე მნიშვნელოვანია ისრაელისათვის, თუნდაც გეოგრაფიული სიახლოვის გამო. ჩვენ ვგრძობთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება კავკასიას სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენ გვსურს რეგიონის სამივე ქვეყანასთან ურთიერთობების განვითარება. იმედი გვაქვს, რომ მოხერხდება კონფლიქტების მშვიდო-

ბიანი გზით გადაჭრა. საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობები, როგორც ვთქვი, ძალზე კარგია. აზერბაიჯანთან კარგი ურთიერთობები გვაქვს. ბაქოში არის ჩვენი საელჩო. რაც შეეხება სომხეთს, ჩვენ იქ საელჩო არ გვაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ერევანთანაც გვსურს მეგობრული ურთიერთობების განვითარება.

- როგორია ისრაელის პოზიცია აფხაზეთის ირგვლივ საქართველო-რუსეთის ახალ დაპირისპირებასთან დაკავშირებით?

- ორივე ქვეყანა ისრაელის ახლო მეგობარია და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მათ შორის ყველა საკითხი ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყდება.

- ისრაელი ასე ათასამდე ქართველი ებრაელი ცხოვრობს. როგორ გრძნობენ თავს ისინი?

- ისინი ისრაელში თავს ძალზე კარგად გრძნობენ. ქართველი ებრაელები დიდად უწყობენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებას, განსაკუთრებით, ეკონომიკურ სფეროში.

- ქართველი ებრაელები არიან კენესეტშიც. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის განვითარების საქმეში.

- რამდენიმე დღის შემდეგ ისრაელში გაიმართება ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომელზეც მიწვეულია საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

- როგორ ახერხებს ისრაელი, მუდმივი ტერორის პირობებში, სტაბილურობის შენარჩუნებასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას?

- ეს ისრაელის საზოგადოების ძლიერების მაჩვენებელია. პალესტინელებს სურთ, რომ ყოველი ტერაქტის შემდეგ ჩვენ პანიკაში ჩავვარდეთ და ადამიანებს ქუჩაში გასვლითა უშინოდეთ. ჩვენ გვსურს, დავუმტკიცოთ პალესტინელებს და არაბულ სამყაროს, რომ ისინი ვერ შეძლებენ ებრაელების გატყვევას, რადგან ჩვენი საზოგადოება ძალზე ძლიერია. ყოველი თავდასხმა ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ვიცით, რომ, თუ არ გვინდა ტერორისტების ნისქელები დავახსოვოთ, ყოველი ტერაქტის შემდეგ სწრაფად უნდა დაფურცუნდეთ ნორმალურ ცხოვრებას. ეს ჩვენი ტერორიზმთან თავსმოხვეულ ბრძოლაში განუყოფელი მსხვერპლია, რომელიც უნდა გავიღოთ, რათა ამ ბრძოლაში გავიმარჯვოთ.

- ორ კვირაში ისრაელი არჩევნებია. როგორი განწყობაა ამჟამად და რას ფიქრობს ხალხი წამყვან პოლიტიკოსებზე?

- არის რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს ამომრჩევლებს. უსაფრთხოება, როგორც ეროვნული, ისე პიროვნული, ძალზე მნიშვნელოვანია. ბოლო ორი წლის მანძილზე მიმდინარე ტერორისტულ კამპანიას 650 ებრაელის სიცოცხლე შეენირა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ამომრჩეველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მეორე საკითხია - თუ დავუშვებთ, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში წარმატებას მივადგინებთ - ამის შემდეგ, როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარება. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ ტერორისტები უნდა დავამარცხოთ და პოლიტიკურ გადაწყვეტაზე შემდეგ ვიფიქროთ.

ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური საკითხებიც. ბოლო წლებში იყო ორი ფაქტორი, რომლებმაც ეკონომიკური ვითარების გაუარესება გამოიწვია: ჯერ ერთი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომე-



დავით შელეგი

ლიც განსაკუთრებით მაღალ ტექნოლოგიებს შეეხო და მეორე, ტერორისტული კამპანიის ეკონომიკური შედეგები, განსაკუთრებით, ტურიზმის სფეროში.

გარდა ამისა, მოსახლეობის ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზოგიერთი დარღვევის საკითხი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო კამპანიის დროს. მათ შერისხვევის პოლიცია და პროკურატურა. მიუკერძოებელი გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

- თქვენ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა ახსენეთ, როგორ წარმოგიდგენიათ იგი?

- ამის შესახებ, ბუნებრივია, განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ბოლო თვეებში კვარტეტმა (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო) ახალი ინიციატივები წამოაყენა. თუმცა, მათი გამოქვეყნება ისრაელში არჩევნების დასრულებამდე გაუაღრმავდა. ინიციატივა ითვალისწინებს სამეტაპიან მიდგომას, რომელთაგან პირველი ტერორიზმთან ბრძოლის დასრულებაა. პრემიერ-

მის პარტია მხარს უჭერს პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ სანამ ტერორიზმი არ დავამარცხებთ, ამაზე საუბარი ნაადრევია.

- თქვენს მეზობლად ომი მწიფდება. რა გავლენას იქონიებს ეს ომი ისრაელზე?

- იქნება ომი თუ არა, ეს ამერიკის პრეზიდენტის გადასაწყვეტია. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ჩვენ არანაირ როლს არ ვასრულებთ. რაც შეეხება ჩვენზე გავლენას, ეს იმაზეა დამოკიდებული, რთი უპასუხებს ამერიკის იერიშს სადამ ჰუსეინი. იმედი გვაქვს, რომ ისრაელის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ იქნება მიღებული. თუ ჩვენ მაინც დავავარტყვს, თავს ისე დავიცავთ, როგორც საჭიროდ ჩავთვლით. წინა ომიდან ჩვენ დიდი გამოცდილება მივიღეთ.

ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა ისრაელისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. რასაკვირველია, ახლო აღმოსავლეთი შუსეინის გარეშე - უკეთესი ახლო აღმოსავლეთი იქნება.

- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე სხვა ქვეყნებთანაც თუ მოდის?

- პირველ რიგში, ირანიდან. ისინიც ცდილობენ ატომური იარაღისა

და დიდი სიშორის რაკეტების შექმნას. დროდადრო ირანი ჩვენი მისამართით ძალზე მტრულ განცხადებებს აკეთებს. თუ მათ ამ განცხადებების ადეკვატური შესაძლებლობები გაუჩნდათ, ამან არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს. მათი რაკეტები ცენტრალურ ევროპას წვდება, რაც მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის წარმოადგენს საფრთხეს.

ირანი სხვა მხრივაც წარმოადგენს ჩვენთვის საფრთხეს. ეს სახელმწიფო რომ არა, "ჰეზბოლა" ერთი დღეც ვერ იარსებებდა.

- რუსეთი საკმაოდ დახმარებას უწევს ირანს ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაში. როგორ აისახება ეს ისრაელ-რუსეთის ურთიერთობებზე?

- ჩვენ მუდმივად გვაქვს რუსეთთან ამ საკითხზე დიალოგი, ყველაზე მაღალ დონეზე. ვცდილობთ, ავუსენათ რუსეთის ის საფრთხე, რომელიც ირანიდან გვემუქრება და აგრეთვე ის, რომ რუსეთიდან მიღებული ნოუ-ჰაუ ირანს ხელს უწყობს უკეთესი ტექნოლოგიების ათვისებაში. რუსეთი გვეუბნებიან, რომ ახორციელებენ ექსპორტის კონტროლის მკაცრ ზომებს, იცავენ უსაფრთხოების მოთხოვნებს და არავითარი სურვილი არ აქვთ, ირანი ბირთვული იარაღით აღჭურვონ.

მაგრამ ჩვენთვის ეს სერიოზული საფრთხეა.

- თუ თვლით, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება ისრაელისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს?

- საფრთხეების დახარისხებას არ შეუძლებს, მაგრამ ვიტყვი, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება ისრაელის სახელმწიფოსათვის ეგზისტენციალური საფრთხეა.

- დიდი ხანია საუბრობენ კავკასიაში და მის ირგვლივ არსებულ ორ ღერძზე. ერთს შეადგენს რუსეთი, სომხეთი, ირანი, მეორეს კი - აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი. არის თუ არა ისრაელი ამ მეორე ღერძის გაგრძელება?

- თუ პირველ ღერძზე ვისაუბრებთ, სომხები უარყოფენ მის არსებობას. ისინი ამბობენ, რომ მათ ნორმალური ურთიერთობები აქვთ რუსეთთან და მეტი არაფერი. მე ხვალ ერევანში მივივარ და იქიდან დაბრუნების შემდეგ უფრო დანერვილებით ვისაუბრებ.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქეთსა და ისრაელს, ვიტყვი, რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო, განსაკუთრებით კი, მისწრაფება რეგიონში სტაბილურობის დამყარებისაკენ. ჩვენს ამ მიზნობრივული იარაღით აღჭურვონ.



შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით.	პლანა უფასოა.
<p>სადასრულებლად მოგვანდა "რუსთავი 2" არ არის დასრულებული, გაცემული მიიღება თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი პირადი მონაწილეობა, დამატებითი გადაცემის პროგრამების და ანკეტის შევსებით თქვენ მონაწილეობთ შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.</p>	

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მიიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორის ქუჩა "ხალხის პირისპირ",
გაბა-ფაბრიკის 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩებიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძმები

მისამართი:

შვილები: (თუ გააჩნიათ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საგვარო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (გთხოვთ, ახსნათ, რომელიც აკრძალავს თქვენს მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ" ან თქვენს მონაწილეობას, ან 60-იანი წლების შესახებ, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააჩნიათ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისხარის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და რა დროს?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ მოგზაურობით საერთაშორისო ბარში და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვიდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საქონარ ბარებში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორი თქვენი საყვარელი მხარეა და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმი?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაც მოცდებოდათ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიწევიათ ან გაგიკავებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფო?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს უნდა გეგზავნათ ყველაზე მეტად და რატომ?

რა უნერის ფილმები მოგწონთ და რომელი თქვენი საყვარელი ფილმებია?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მითხარები? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, რომელი და რა ადგილებზე?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეძლებთ თუ არა სხვებით განიკითხოთ "შინაური ცხოველები" ან ასეთივე სახის ფილმების გაშვება?)


ყველაზე უხარსხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაშვით?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საგვარო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცინ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

